# სამუშაოს აღწერილობა

| ზოგადი ინფორმაცია | |
|---|---|
| თანამდებობის სახელწოდება | შესყიდვების მენეჯერი |
| უშუალო ხელმძღვანელი | დირექტორის მოადგილე |
| სამუშაოს გრაფიკი (განაკვეთი) | სრული განაკვეთი |
| დაქვემდებარებული თანამდებობები | არა |

## ფუნქცია-მოვალეობები

- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით გათვალისწინებული შესყიდვების განხორციელება დაწესებულების ფინანსური რესურსის შესაბამისად; შესაბამისი ოპერირება და ანგარიშგება, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;
- წლიური სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შედგენა-შეჯერება და საჭიროების შემთხვევაში მისი კორექტირება, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;
- შესყიდვების ოპერაციების წარმოება და გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;
- „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;
- სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დადებული ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების აღრიცხვის ორგანიზება, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;
- შესყიდვისათვის ობიექტისათვის CPV კოდების მორგება, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;
- პროვაიდერი კომპანიების და ორგანიზაციების ელექტრონული ბაზის შექმნა და მისი მუდმივი განახლება;
- შესყიდვის ციკლისათვის კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი შიდა რეგულაციის დაცვა - შესასყიდ საქონელზე პროვაიდერთათვის ინფორმაციის გადაგზავნა და მათგან ინვოისების მოთხოვნა, მიღებული ინვოისების დამუშავება და მათ საფუძველზე, ფასებისა და ხარისხის გათვალისწინებით, შესაბამისი დაკვეთების მიცემა სხვადასხვა ან ერთი ორგანიზაციისათვის;
- შესყიდვის ხელშეკრულებების, ხელშეკრულებებზე დამატებების, მიღება- ჩაბარების აქტების და სხვა კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის მომზადება, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;
- შესყიდვისას პროვაიდერებისაგან აუცილებელი დოკუმენტაციის მიღება (სასაქონლო ზედდებული და/ან ანგარიშ-ფაქტურა), მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;
- შესყიდვების ოპერაციების ამსახველი პირველადი დოკუმენტების კანონიერი წარმოება და გაფორმება, ხარჯთაღრიცხვებისა და კალკულაციების გადამოწმება, მათ შორის ჰიბრიდული სასწავლო ცენტრებისთვის;
- საჭირო გადარიცხვებისათვის აუცილებელი და კანონით გათვალისწინებული დოკუმენტების ოპერატიული მომზადება და გადარიცხვებისათვის დოკუმენტაციის დროული გადაცემა ბუღალტერისათვის;

- შესყიდვების სააგენტოში წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადება და მისი დადგენილ ვადებში წარდგენის უზრუნველყოფა;
- მონაცემთა ბაზის შექმნა, სადაც ასახული იქნება სავარაუდო შესყიდვები;
- სახელმწიფო შესყიდვების გეგმებში სავარაუდო შესყიდვების ასახვა;შესყიდვების სააგენტოში წარსადგენი დოკუმენტაციის შემოწმება და მისი დროულად, დადგენილ ვადებში გაგზავნის უზრუნველყოფა;
- შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის მომზადება და წარდგენა დირექტორისთვის;
- კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება და აღნიშნულის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის დროული მიწოდება დირექტორის მოადგილისათვის;
- კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვისა და ავტორიზაციისა და თვითშეფასების პროცესებში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში უშუალო და ზემდგომ ხელმძღვანელთა სხვა დავალებებისა და დაწესებულების შიდა სამართლებრივი რეგულაციებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულება.
- კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს წინადადებების ინიცირებასა და მენეჯმენტთან წარდგენას.

| საკვალიფიკაციო მოთხოვნები | |
|---|---|
| განათლება | ბაკალავრის ხარისხი ფინანსური ან ეკონომიკური მიმართულებით |
| პროფესიული ცოდნა | • სახელმწიფო შესყიდვების პრინციპები<br>• სახელშეკრულებო პირობების მართვა<br>• საგადასახადო კოდექსი: დაბეგვრა, ორმაგი დაბეგვრა<br>• „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი<br>• პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის №244 დადგენილება. |
| სამუშაო გამოცდილება | 2 წლიანი გამოცდილება სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით; |
| კომპიუტერული პროგრამები | MS Word, MS Excel, MS PowerPoint (ცოდნის დონე - ძალიან კარგი) |
| უცხოური ენები | ინგლისური ენა (A2) |
| კომპეტენციები და უნარები | • დაგეგმვა და ორგანიზება;<br>• დროის ეფექტიანი მართვა;<br>• სიზუსტე და დეტალებზე ორიენტირებულობა;<br>• გუნდური მუშაობის უნარი;<br>• ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება. |
| სხვა, დამატებითი მოთხოვნები | |

გავეცანი და ვადასტურებ ___________________________________________